

## რუსულის გავლენით გავრცელებული ერთი მოვლენის შესახებ ქართულში

თანამედროვე ქართულში რთული ქვეწყობილი წინადადების მთავარსა და დამოკიდებულს შორის კავშირის (უპირატესად „რომ“ კავშირის), გამოტოვებისას ხშირად არ სვამენ (ტოვებენ) მძიმეს (კავშირის ხმარების შემთხვევაში, როგორც წესი, მძიმეც დაისმის): გ თ ხ ო ვ თ გ ა მ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ო თ...

ეს ვითარება რუსულის გავლენის შედეგი უნდა იყოს.

რუსულისათვის ჩვეულებრივ, ინფინიტივის შემცველ მარტივ წინადადებაში მძიმე არ დაისმის. იქ ერთი ზმნაა: **Прошу освободить, хочу учиться, решил явиться на работу...** ამ მარტივ წინადადებებს ქართულში რთული ქვეწყობილი წინადადებები შეესაბამება, რომელთა დამოკიდებულები კავშირებითი კილოს ფორმებს (უპირატესად კავშირებით მეორეს) შეიცავენ. ქართულში, მსგავსად რთული ქვეწყობილი წინადადებისა, კავშირის გამოტოვების შემთხვევაშიც მძიმე უნდა დაისვას, მაგრამ, როგორც ჩანს, რუსულის ანალოგიით მძიმეს არ სვამენ (რაკი შესაბამისი შინაარსის რუსულ მარტივ წინადადებაში მძიმე არა გვაქვს).

მაქვემდებარებელი კავშირის შენარჩუნებისას აღნიშნული ტიპის ქვეწყობილ წინადადებებში, როგორც აღინიშნა, მძიმე თავის ადგილზეა.

ინფინიტივიანი რუსული მარტივი წინადადებების გავლენით შემუშავებულმა ხსენებულმა მოვლენამ, ვფიქრობთ, ასპარეზი გაიფართოვა და დღეს იგი შეიძლება სხვა ტიპის რთულ ქვეწყობილ წინადადებებშიც დავადასტუროთ.

ეს დასკვნა ემყარება ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ალ. ყაზ-

ბეგის, ივ. ჯავახიშვილის, ა. შანიძის, კ. გამსახურდიას, არნ. ჩიქო-  
ბავას, ვ. თოფურის, ბ. ჯორბენაძის, ლ. კვაჭაძის თხზულებათა  
მონაცემებს.

ვნახოთ, რა ვითარება იყო ქართულში აღნიშნული ტიპის  
წინადადებათა გამოვლენა-გავრცელებულობისა და მათში სასვენი  
ნიშნის (მძიმის) ხმარების თვალსაზრისით, სანამ ქართულზე რუ-  
სულის გავლენა ინტენსიურ ხასიათს მიიღებდა.

ამ თვალსაზრისით შევისწავლეთ XVIII ს. მწერლობის,  
კერძოდ, საბას, დავით გურამიშვილის, იესე ბარათაშვილის, იოა-  
ნე ბატონიშვილის თხზულებათა ენა. წერილში წარმოდგენილი  
მონაცემები მოპოვებულია ნაბეჭდი ტექსტების ანალიზის გზით  
და, თუმცა მათში ასახული ვითარება შეიძლება ზუსტად ვერ  
წარმოგვიდგენდეს შესაბამის ეპოქაში ამ თვალსაზრისით არსე-  
ბულ მდგომარეობას, ვფიქრობთ, მათ ჩვენებებს მაინც ახლავს  
გარკვეული ინტერესი.

ყველა ზემოხსენებულ მწერალთან უკავშირო რთულ ქვე-  
წყობილ წინადადებებში, მათ შორის იმათშიც, რომელთა დამო-  
კიდებული წინადადებებიც კავშირებითი კილოს ფორმებს შეი-  
ცავს და რომელთაც რუსულში ინფინიტივის შემცველი კონ-  
სტრუქციები შეესაბამება, **მძიმე**, როგორც წესი, ნახმარია.

ვიმოწმებთ სათანადო მასალას.

ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი<sup>1</sup>:

ასეთი ჭკუათამყოფელი კაცი არ მისვ, მათი რამ გაიგოს  
(125). შევიდღე, ვნახო, ვახშამი არ დამეკარგოს (125). ესეები ამის-  
თვინ დავსწერე, შეეტყოთ ფრანცის მეფის ხარჯები (81). ასეთი  
უნდა ქნას, თვითვე თავი არ შეიწყნაროს (241).

უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებებში მძიმეა და-  
სმული დავით გურამიშვილთან აც<sup>2</sup>:

ტყუილი ვთქვა, ჩემი თქმული შეიქმნების რა სავარგი? (258).

ამისთანა მკურნალს ვაქებ, მიღესევედეს ფაზარ-ხუთოს (258).

უკავშირო ქვეწყობილ წინადადებებში მძიმეა დასმული იესე

<sup>1</sup> ს.ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიბრძნე-სიცრუისა, ქართული პროზა, წიგნი V, თბილისი, 1983.

<sup>2</sup> დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საყმაწვილო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, ძველი მწერლობა, თბილისი, 1983.

ბარათაშვილთანაც<sup>1</sup>: ქუყაც ის არის, კაცმა თავისი თავი ხალხს უპატიურად არ დაანახოს (598). მე ის მინდა, ჩემს შვილებს ყმა შყვანდესთ (686). ამისათვის ვცემდი, ქურდობა მოვაშლევინო (425).

თანამედროვე ქართულში რთული ქვეწყობილი წინადადებების უმრავლესობას კავშირის გამოტოვებისას აკლია მძიმეც. თუ ქართულზე რუსულის ინტენსიური გავლენის დასაწყისის წინა ხანის მწერლობის ზემოთ განხილული ნიმუშების მონაცემებს შემდგომი პერიოდისას შავადარებით, ცხადი გახდება, რომ ჩვეულებრივ ქვეწყობილ წინადადებებში მძიმის გამოტოვების პრაქტიკა (რა თქმა უნდა, უკავშირო წინადადებებში) რუსული ინფინიტივის შემცველი მარტივი წინადადების შესაბამის ქართულ ქვეწყობილთა ანალოგიით, მათი გავლენით უნდა მკვიდრდებოდეს, ე. ი. უკავშირო ქვეწყობილში მძიმის გამოტოვების (დაკლების) წესს ზემოაღნიშნული ტიპის ქვეწყობილ წინადადებაში უნდა ეჩინა თავი, შემდეგ კი საყოველთაოდ გავრცელებულიყო ჰიპოტაქსურ წინადადებებში.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში რომ მთავარსა და დამოკიდებულს შორის მძიმის გამოტოვებას რუსულის ინფინიტივიანი მარტივი წინადადების შესაბამის ქართულ რთულ ქვეწყობილში უნდა დასდებოდა სათავე, ამის დასტურად, ალბათ, გრიგოლ ორბელიანის ენაში<sup>2</sup> დაფიქსირებული ვითარებაც გამოდგება. ჯერ ერთი, თვალში საცემია უკავშირო ქვეწყობილ წინადადებათა ხმარების სიხშირე დიდი პოეტის ნაწერებში; მეორეც, როგორც წესი, ასეთ წინადადებებში, რომლებიც სწორედ რუსულ ინფინიტივიან მარტივ წინადადებებს შეესაბამება, რთული წინადადების კომპონენტებს შორის მძიმე გამოტოვებულია, რითაც ეს წინადადებები გარეგნულად უახლოვდება რუსულ ინფინიტივიან მარტივ წინადადებას:

ისინი იძულებული იყვნენ დაეთმოთ ჩემთვის დღითიდღე (429). ნება მიბოძეთ შევნიშნო (385). ...მაგრამ კარგი ღონისძიება არის გაამზნეოს მკრთალი კაცი (388). მე მსურდა შემეტყო და მენახა (406). უნდა ვცდილიყავ განმეშორებინა დაახლოებული სიგლაზაკე (424). ყოველ მათგანს აქვს უფლება შეურა-

<sup>1</sup> ი. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, ცხოვრება-ანდერძი, ქართული პროზა, წიგნი X, თბილისი, 1983.

<sup>2</sup> გ რ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1959 წ.

ცხმეოს, მლანძლოს მე (415).

გრიგოლ ორბელიანიდან მოყოლებული, აღნიშნული მოვლენა ფართოდ ვრცელდება ქართულში.

„რომ“ კავშირის ხმარების შემთხვევაში მძიმე გრიგოლ ორბელიანთანაც, როგორც წესი, დასმულია.

უკავშირო ქვეწყობილ წინადადებას, ჩვეულებრივ, მძიმის გარეშე ხმარობს ილიაც<sup>1</sup>:

მას ნება არ ჰქონდა დაეპყრო ის უფლებანი (68). ჩვენ გთხოვთ შევერთოდეთ ერთის მშვენიერის... სურვილითა (14). მათ მსურთ შეუმცირონ იტალიისადმი თანაგრძნობა იმ მეომრებს... (70).

ასევე იქცევა ვაჟაც<sup>2</sup>:

სერეფენიას ძლიერ ეწადა თან გაჰყოლოდა დეიდას (321). უშნოს განა შეუძლია ჰშვას მშვენიერება (332). საერო მწერალი მოვალეა ყველა საყურადღებო ხალხური სიტყვა ან ფორმა გააცნოს ლიტერატურულ ენას (632). მწერალს არ შეუძლიან სავალდებულო გაჰხადოს რომელიმე სიტყვა (634). დიმიტრი ბაქრაძის სიკვდილის შემდეგ ველარავინ გაჰბედავს შეურაცხეოს ჩვენი თავმოყვარეობა (636)...

იგივე სურათია ალექსანდრე ყაზბეგის ენაშიც<sup>3</sup>: უკავშირო ქვეწყობილში, როგორც წესი, მძიმე გამოტოვებულია:

შენ დრო გქონდა გაბრუნებულიყავი (556). ამგვარ ლაპარაკს შეუძლიან კაცს გულიდან გადაუგდოს დიდი ხნის პატივისცემა (565). ჩემს ცოლს სურს თავის თავზე მიიღოს მამოს აღზრდა (567). დაისვენე და უთხარ ვისმე აქ გამოგზავნოს ნინო (568).

კონსტანტინე გამსახურდია<sup>4</sup> გამოტოვებული კავშირის ნაცვლად ხშირად სვამს მძიმეს:

ჰოტელ „ვიქტორიას“ დირექციას ვთხოვე, ჩემს სახელზე მოსული წერილები ბერლინში გადაეგზავნა (487). შენ ნახავ, კიდევ დაუკლებს (483). ხომ იცი, მეც მორწმუნე ვარ (472). ხალილი მირჩედა, ჰოტელ დე ვილში ხელმეორედ არ გავწერილიყავ (473). დავრწმუნდი, იგი ალი-მირზა ხანის შემოჩენილია (491). შენ იცი, კაპიტან დოაზანი ცოტა მოუჩივებელი კაცია (473).

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი 20 ტომად, ტ. VI, თბილისი, 1997.

<sup>2</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბილისი, 1986.

<sup>3</sup> ალექსანდრე ყაზბეგი, თხზულებანი, ტომი მესამე, თბილისი, 1976.

<sup>4</sup> კ. გამსახურდია, თხზულებათა ანთომეული, ტ. IV, თბილისი, 1976 წ.

გვხვდება მძიმის გარეშე წარმოდგენილი იმ ტიპის ქვეწყობილი წინადადებებიც, რომლებიც ჩვენ შინაარსით რუსული ინიციატივიანი მარტივი წინადადების შესაბამისად მივიჩნით. აქაც, როგორც მოსალოდნელი იყო, მძიმე გამოტოვებულია:

*მე ვთხოვე ხალილს ამ თემაზე ჩემთან არ ელაპარაკნა (478). ვკდილობ მოვიფიქრონო მცირეოდენი მარაგი (478). იგი მზადაა რამდენიმე თვის განმავლობაში სტუმრობა გაგვიწიოს (497).*

ვნახოთ, როგორ იქცევიან ჩვენთვის საინტერესო სიტუაციაში გამოჩენილი ქართველი მეცნიერები: ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, ბესიკ ჯორბენაძე, ლეო კვაჭაძე, ალექსანდრე დლონტი.

ივანე ჯავახიშვილი კავშირის გამოტოვებისას მძიმეს არ სვამს<sup>2</sup>:

*უფლება გვაქვს დავასკვნათ (176). დაუცხრომელმა შრომამ აიძულა აკადემიკოსი ნ. მარჩი მთელი ფილოლოგიური კვლევა-ძიება და გამომცემლობა შეეჩერებინა (62). რა საბუთი ჰქონდა ერწმუნა? (67). ეხლა შესაძლებელია მხოლოდ მივუხვდეთ იმ ძველ თავდაპირველ ფორმებს (98).*

ივანე ჯავახიშვილისათვის რთული ქვეწყობილის კომპონენტ წინადადებათა გამიჯვნისას მთავარია, კავშირიანია შეერთება თუ უკავშირო. კავშირიანი შეერთებისას მძიმე დაისმის, უკავშირო შეერთების შემთხვევაში — არა.

უკავშირო (კავშირგამოტოვებულ) ქვეწყობილ წინადადებაში მძიმის ხმარებისგან თავს იკავებს აკაკი შანიძე<sup>3</sup>. ვიმეორებთ, თავს იკავებს, მაგრამ მაინც საკმაოდ ხშირად ხმარობს. მოგვყავს ორივე შემთხვევის მაგალითები:

**ა) მძიმე არ არის ნახმარი:**

*ა. ქუთათელაძე ამიოდ ცდილობდა გაეხსნა „საიდუმლოების ნასკვი“ (010). აგრეთვე საჭირო გახდა მედიოაქტივ ზმნათა ფორმების საკითხზე შევჩერებულეყავ (010). არ შემოძლია არ აღვნიშნო ის ფაქტი, რომ... (011). კვლევა-ძიების პროცესში ავტორი*

<sup>1</sup> კ. გამსახურდია, იქვე.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თხზულებანი 12 ტომად, ტ. X, თბილისი, 1992.

<sup>3</sup> ა. შანიძე, ქართული გრიამატიკის საფუძვლები, I მორფოლოგია, თბ., 1953.

ბშირად იძულებული იყო ტერმინოლოგიური საკითხების მოგვარებისათვის გაეწია სათანადო ანგარიში (016).

ბ) მძიმე ნახარია:

ამით საშუალება მოგვეცემა, თავი დავაღწიოთ უზერზულობას (241). ზმნისწინის ფუნქციების გამოკვლევამ საშუალება მომცა, დამედგინა ორი ახალი კატეგორია (012). ამ სტრიქონების ავტორს არ ჰქონდა არავითარი ბალისი, იხვეებისათვის ვგლო ყური... (013).

მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის უკავშირო ქვეწყობილში მძიმეს არც არნოდ ჩიქობავა სვამს<sup>1</sup>:

ზოგი მეცნიერი ცდილობდა დამტკიცებინა (006). ახალი სალიტერატურო ენის განმარტებითი ლექსიკონის დანიშნულებას აღნუსხოს და განმარტოს ყველა სიტყვა (007). გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ სახელთა სია ნავარაუდევია დაერთოს უკანასკნელ ტომს (087). ამ წინადადებაში ავტორს არ სჭირდებოდა გაემეორებინა „ჭკრივი დედაკაცი“ (087).

არც ვარლამ თოფურია სვამს მძიმეს უკავშირო ქვეწყობილში შემავალ წინადადებებს შორის<sup>2</sup>:

მწერალი ცდილობს შექმნას თავისი ინდივიდუალური სტილი (53). ეს გარემოება ავალებს ქართველ მეცნიერებს კიდევ უფრო გააძლიერონ ქართული ძეგლების გამოცემა (37).

მძიმეს წინადადებათა მიჯნაზე უკავშირო რთულ ქვეწყობილში არც ბესიკ ჯორბენაძე სვამს<sup>3</sup>:

ისტორიული მეთოდი შესაძლებლობას გვაძლევს შევისწავლოთ ამა თუ იმ ენის განვითარების კანონზომიერებანი (183). ენის აღწერით ანალიზს ხელეწიფება გამოავლინოს ის შინაგანი დინამიზმი... (182).

ენახოთ, რა ვითარებაა ლ. კვაჭაძის სინტაქსის ცნობილ სახელმძღვანელოში<sup>4</sup>: დაკვირვება გვიჩვენებს, რომ წიგნის ავტორის მეტყველებაში უკავშირო ქვეწყობილ წინადადებებში დასტურდება

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქველ. ტ. I, თბ., 1950.

<sup>2</sup> ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1965.

<sup>3</sup> ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1989.

<sup>4</sup> ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1977.

როგორც მძიმეგამოტოვებული, ისე მძიმედასმული მაგალითები:

### მძიმე არაა ნახმარი:

მარტივი შემასმენელი შეიძლება გართულებულ იქნეს დამხმარე სიტყვების დართვით (57). ეს არის ფორმა, რომელსაც შეუძლია შეცვალოს პასივის მიმღეობიანი შედგენილი შემასმენელი (62).

### მძიმე ნახმარია:

...რომელთაც არ შეუძლიათ, მთქმელს გამოეხმაურონ (24).

ლ. კვაჭაძის აღნიშნულ სახელმძღვანელოში დამოწმებულ რამდენსამე მაგალითშიც მძიმეებია დასმული:

რაიბულს იმედი ჰქონდა, ღვინოს იაფად შილდაში იყიდდა (ვაჟა., ლ. კვაჭ., 330). ნაბრძანები იყო, სწრაფად გაემაგრებინათ ეს ადვილები (ზარნ., ლ. კვაჭ., 330).

დამოწმებულ მაგალითებს ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით კომენტარი არ ახლავს. უნდა ვიფიქროთ, რომ სახელმძღვანელოს ავტორი ამ წინადადებებში მძიმეების დასმის ფაქტს მისაღებად მიიჩნევს.

ალექსანდრე ღლონტის მიერ გამოქვეყნებულ სავარჯიშო მასალაში<sup>1</sup> უკავშირო ქვეწყობილი წინადადებები, დამოწმებული სხვადასხვა (ძირითადად ცნობილი თანამედროვე მწერლების) ნაწარმოებებიდან, მძიმედასმული ვარიანტითაა წარმოდგენილი:

წინადადება მისცა, სული არ მოეთქვა (ლ. ქიაჩ., 8). საშინელი სურვილი იპყრობს, ზემოდან გაღმობედოს... (გ. ფანჯ., 19). ცოლ-ქმარმა ითათბირა და გადაწყვიტა, კამკამიძეზე ფიქრი თავიდან ამოეგდოთ (ბ. ჩხ., 196). ცდილობს, ჩამოაშოროს თავის გაზრდილს (ფიარალო, 197). არ იცის, რა თქვას, რა მოიმოქმედოს (გ. ფანჯ., 197). ლეილამ არ იცოდა, ეს ამბავი რისთვის მიეწერა (ა. ჩაჩ., 196). შეგიძლია, შეაკეთო სამხედრო ნაწილის გარაჟში (გ. რობ., 197). ამჟამად დაავიწყდა მას ნაბუქოდონოსორი და მზად იყო, თვითონ ღმერთად ქცეულიყო (ტ. ტაბ., 197). ძლივან მიყვარს მამიდა და სულ მეშინია, არ გათხოვდეს (დუმბ., 197).

<sup>1</sup> ალ. ღლონტი, ქართული წინადადება, სავარჯიშო მასალა სინტაქსში, თბ., 1996 წ. (ავტორის მიერ სხვადასხვა მწერალთან მოპოვებული ნიმუშების გვერდები მითითებულია ალ. ღლონტის ამ წიგნის მიხედვით).

აქვეა წარმოდგენილი კავშირიანი ქვეწყობილი წინადადებებიც, სადაც, რა თქმა უნდა, მძიმე ნახმარია:

*ჭაბუკი ცალუღელა ხარივით წელეზზე ფეხს იდგამდა, რომ ნერვის მახრების საიდუმლო გაეგო (კ. ლორთქ., 198).*

როგორც ვხედავთ, საკმაოდ ჭრელი სურათია, მაგრამ ამ სიტყვულში ჩანს უკავშირო ქვეწყობილ წინადადებაში მძიმის დასმის ტენდენციაც, რაც უცხო არაა ქართული სიტყვის ისეთ ცნობილ მსახურებთან, როგორნიც არიან: ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, კ. გამსახურდია, აგრეთვე ალ. ღლონტის ზემოდასახელებულ წიგნში წარმოდგენილი მწერლები: ლ. ქიაჩელი, გ. ფანჯიკიძე, ა. ჩაჩანიძე, გ. რობაქიძე, ნ. დუმბაძე... მაშინ, როდესაც **რომ** კავშირის ხმარების შემთხვევაში მძიმის დაუსმელობის არც ერთი შემთხვევა არ გვხვდება, აღნიშნული მერყეობა მძიმის დასმა-გამოტოვების საკითხში სწორედ რუსულის ზემოთ აღნიშნული ინფინიტივანი კონსტრუქციის გავლენის შედეგი უნდა იყოს.

აღნიშნული ვითარება არ იძლევა უფლებას, რომ უკავშირო ქვეწყობილში მძიმეების ხშირი გამოტოვების პრაქტიკა შემთხვევითობას ან დაუდევრობას მივაწეროთ და მასში თანამედროვე ქართულში არსებული გარკვეული ტენდენცია არ დავინახოთ.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ არსებობს პროფ. ვ. თოფურია და დოც. ნ. ბასილაიას მოსაზრებები.

ვ. თოფურია წერს: „რთულ წინადადებაში ხშირად გამოტოვებულია დამოკიდებული წინადადების კავშირი **რომ**: მაგ.: „სთხოვს გააკეთოს“, „შეიძლება მისწეროს“... ამ შემთხვევაში... სადავო საკითხი იბადება, **რომ** კავშირის გამოტოვებისას სასვენი ნიშანი **მძიმე** დავსვათ თუ არა... ამჟამად საკმაოდ არეულად იხმარება: ზოგი სვამს მძიმეს და ზოგი — არა“<sup>1</sup>.

ვ. თოფურია დაასკვნის:

„საქმის ვითარებას შემდეგ დასკვნამდე მივყავართ: **რომ** კავშირის გამოტოვებისას კავშირებითი ზმნის წინ მძიმე არ დაისმის: „შეიძლება დარჩეს“, „შეუძლია გააკეთოს“, „გთხოვთ დამნიშნოთ“ (საყურადღებოა, რომ ვ. თოფურია მოდალური ზმნის შემცველ კონსტრუქციასა და ჩვეულებრივ ქვეწყობილს ერთმანეთისაგან არ მიჯნავს. ო. მ.).

<sup>1</sup> ვ. თოფურია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 161.



მეცნიერი განაგრძობს: „აქ კავშირებითის ფორმა შინაარსობრივად უდრის ქართულში მასდარს (მოქმედების სახელს)“, (მაგრამ ეს მხოლოდ შინაარსით. მეცნიერებას, უპირველეს ყოვლისა, ამ შინაარსის გამოხატვის ფორმა აინტერესებს. დღეს ეს კავშირებითის ფორმა, „შინაარსით რომ მასდარს უდრის“, ზმნის პირიანი ფორმაა და გრამატიკულად — დამოკიდებული წინადადება. ო. მ.) და რუსულში ინფინიტივს, რომელიც უბრალო დამატებად (?) არის მიჩნეული: გთხოვთ დამინიშნოთ — გთხოვთ ჩემთვის დანიშნოთ — *прошу назначить мне*<sup>1</sup>. (მაგრამ აქაც უბრალო დამატებაა: „გთხოვთ დამინიშნოთ“ — *прошу назначить меня...* ო. მ.)

ვ. თოფურიას მსჯელობიდან შემდეგი უნდა დავასკვნათ:

1. „სთხოვს გააკეთოს“, „შეიძლება მისწეროს“ რთული ქვეწყობილი წინადადებებია.

2. აქვე აღიარებულია ისიც, რომ ქვეწყობილ წინადადებებში მძიმის დასმა-დაუხმელობის საკითხი წამოიჭრება მხოლოდ **რომ** კავშირის გამოტოვების შემთხვევაში.

დაისმის კითხვა: რატომ? კავშირის გამოტოვების შემთხვევაში დასახელებული წინადადებები ქვეწყობილი წინადადებები აღარაა? — „სთხოვს გააკეთოს“ და „სთხოვს რომ გააკეთოს“ სხვადასხვა სინტაქსური ოდენობებია? ორივე რთული ქვეწყობილი არაა? მაშ, რატომ დაისმის მძიმის დასმისა თუ დაუხმელობის საკითხი?

3. როგორც ზემოთ აღინიშნა, მთლად ნათელი არ არის, თუ რატომ უნდა მივიჩნიოთ ინფინიტივის შემცველ კონსტრუქციაში ინფინიტივი უბრალო დამატებად? (დასახელებულია მაგალითი: *прошу назначить мне*, რაც თურმე იგივეა, რაც გთხოვთ ჩემთვის დანიშნას. რა თქმა უნდა, „ჩემთვის“ აქ უბრალო დამატებაა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო კონსტრუქციაში აღნიშნული შინაარსი ყველაზე ნაკლებად იგულისხმება (იგი მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტია). რაღა ვუყოთ ასეთ შემთხვევას: *прошу назначить меня*, გთხოვთ დამინიშნოთ (მე). აქ ხომ ვერაფრით ვიგულისხმებთ უბრალო დამატებას?

ნ. ბასილაია მსჯელობს საერთოდ რთული ქვეწყობილი წი-

<sup>1</sup> ვ. თოფურია, დასახელებული ნაშრომი, იქვე.

ნადადეგის შესახებ, სადაც მთავარი და დამოკიდებული მოკლეა და ამ სიმოკლის გამო ისინი პაუზის გარეშე აღიქმებიან როგორც ერთი, ისე მეორე მეცნიერის არგუმენტების გაზიარება ჭირს, რადგან, ჯერ ერთი, დღევანდელ ქართულში გვაქვს პირიანი ზმნა და არა ინფინიტივი („მოქმედების სახელი“, ვ. თოფურია), ახალ ქართულში არის მასდარის შემცველი კონსტრუქციაც, რომელიც ახლოსაა რუსულ ინფინიტივიან მარტივთან და, ბუნებრივია, მძიმეს არ საჭიროებს: „მინდა ხატვა“ (შდრ.: რუს. хочу рисовать), მაგრამ „მინდა, ვხატო“ რთული ქვეწყობილია და მძიმეს მოითხოვს. „რომ“ კავშირის აღდგენის შემთხვევაში ამაზე არც არავინ დავობს: „მინდა, რომ ვხატო“.

ჩვენს ვარაუდს, რომ კავშირის გამოტოვება და მძიმის დაუსმელობა ქვეწყობილში რუსულის გავლენის შედეგი უნდა იყოს, თითქოს ე. წ. მოდალური ზმნის შემცველი კონსტრუქციაც ადასტურებს. აქაც მოდალური ზმნის პარტნიორი ზმნა, როგორც წესი, კავშირებითი კილოს ფორმითაა წარმოდგენილი და ინფინიტიური კონსტრუქციის შემცველ რუსულ მარტივთან შედარებისას ისეთსავე სურათს გვიჩვენებს, როგორსაც ჩვეულებრივი ქვეწყობილი („გთხოვთ გამათავისულოთ“ ტიპისა. შდრ.: прошу освободить): ყველაფერი შეიძლება, მოხდეს (Все может случиться). შეუძლია, ხატოს (может рисовать). ცდილობს, შეგვატყობინოს (старается сообщить)... ყველა შემთხვევაში შეიძლება, რომ კავშირი ვივარაუდოთ და აღვადგინოთ კიდევ ისევე, როგორც წინადადებაში: გთხოვთ (რომ) გამათავისულოთ (прошу освободить).

ნ. ბასილაიას მოსაზრებაში, ჯერ ერთი, ძნელად მისაღებია ქვეწყობილში შემავალ წინადადებათა სიგრძე-სიმოკლის არგუმენტი, მეორეც, მთლად ნათელი არ არის მსჯელობა იმის შესახებ, თითქოს მოკლე ქვეწყობილის კომპონენტებს შორის შეიძლება არ ჩანდეს პაუზა.

უმთავრესი კი, ალბათ, მაინც ის არის, რომ მძიმის გამოტოვება არაა დამახასიათებელი მაინცდამაინც მოკლე ქვეწყობილისათვის. ასეთივე ვითარებაა დიდი ზომის წინადადებებშიც:

**გრიგოლ ორბელიანთან** მძიმეები გამოტოვებულია საკმა-

<sup>1</sup> ნ. ბასილაია, უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადება, თბილისი, 1987, გვ. 19.

ოდ დიდ უკავშირო წინადადებებში:

ისინი იძულებული იყვნენ დაეთმოთ ჩემთვის (429). ... მაგრამ კარგი ღონისძიება არის გაამხნეოს მკრთალი კაცი (399). უნდა ვცდილიყავ განმეშორებინა დაახლოებული სიგლახაყე (424). ყოველ მათგანს აქვს უფლება შეურაცხმყოს, მლანლოს მე (415). მაგრამ ამავე მწერალთან მძიმეა დასმული უმოკლეს კავშირიან ქვეწყობილში: ცდილობს, რომ გადაიხადოს (410).

მძიმის გარეშეა ნახმარი საკმაოდ ვრცელი წინადადებები ილიასთან:

ჩვენ გთხოვთ შევერთდეთ ერთის მშვენიერის... სურვილითა (14). მას ნება არ ჰქონდა დაეპყრო ის უფლებანი (68).

ასეა ვაჟასთანაც:

სერეფენიას ძლიერ ეწადა თან გაჰყოლოდა დეიდას (321). საერო მწერალი მოვალეა ყველა საყურადღებო ხალხური სიტყვა ან ფორმა გააცნოს ლიტერატურულ ენას (632). დიმიტრი ბაქრაძის სიკვდილის შემდეგ ველარავინ გაჰმედავს შეურაცხყოს ჩვენი თავმოყვარეობა (636).

ასეთივე სურათია ალ. ყაზბეგთანაც:

ამგვარ ლაპარაკს შეუძლიან კაცს გულიდგან გადაუგდოს დიდი ხნის პატივისცემა (565). ჩემს ცოლს სურს თავის თავზე მიიღოს მამოს აღზრდა (567).

ამავე პოზიციაზე დგას ივ. ჯავახიშვილიც:

მრომამ აიძულა აკადემიკოსი ნ. მარრი მთელი ფილოლოგიური კვლევა-ძიება და გამომცემლობა შეეჩერებინა (62).

არც ა. შანიძე სვამს მძიმეს ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში იმის გამო, რომ რთული ქვეწყობილი წინადადება ვრცელია:

აგრეთვე საჭირო გახდა მედიოაქტივ ზმნათა ფორმების საკითხზე შეეჩერებულყავ (016). კვლევა-ძიების პროცესში ავტორი ხშირად იძულებული იყო ტერმინოლოგიური საკითხების მოგვარებისათვის გაეწია სათანადო ანგარიში (016).

ვრცელი უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადება მძიმის გარეშეა არნ. ჩიქობავასთანაც:

ახალი სალიტერატურო ენის განმარტებითი ლექსიკონის დანიშნულებათა აღნუსხოს და განმარტოს ყველა სიტყვა (007).

ასეთივე ვითარებაა კ. გამსახურდიასთანაც:

მე ვთხოვე ხალილს ამ თემაზე ჩემთან აღარ ელაპარაკნა (478). იგი მზადაა რამდენიმე თვის განმავლობაში სტუმრობა გავვიწიოს (497).

როგორც ვნახეთ, აქაც ზემოთაღწერილი ვითარებაა. მძიმეები საკმაოდ ვრცელ წინადადებებშია გამოტოვებული.

მოყვანილი მაგალითები ცხადყოფენ, რომ უკავშირო ქვეწყობილ წინადადებაში მძიმის დასმა-დაუსმელობის საკითხი წინადადებათა სიგრძე-სიმოკლეს არ უკავშირდება. ყოველ შემთხვევაში, ამისი კატეგორიული მტკიცების საფუძველი არ ჩანს.

ისმის კითხვა: მოდალურზმნიან კონსტრუქციაში არსებული ვითარებაც რუსულის გავლენის შედეგი ხომ არ არის?

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „შეიძლება“ ფორმამ დღეისათვის (ხაზგასმა ჩვენია ო. მ.) თითქმის დაკარგა ზმნურობა და ნაწილაკის ფუნქციით არის დამკვიდრებული. ზმნური ფუნქციით იგი ძალიან იშვიათად გამოიყენება, მაგრამ **აწმყოს კავშირებითთან ხმარებისას (განსხვავებით კავშირებითი კილოს სხვა ნაკვთებისაგან. ხაზგასმა ჩვენია ო. მ.)** იგი თითქოს „ზმნურდება“ და ამგვარად კონსტრუქციის ჩაკეტვის უნარს ავლენს<sup>1</sup>. ნამდვილად გასაზიარებელი დებულებაა, ოღონდ ერთი შენიშვნით: ასეთივე ვითარებაა მაშინაც, როცა წინადადებაში მეორე კავშირებითის ფორმაა ნახმარი.

ავტორს თავისი დებულების დასასაბუთებლად მოჰყავს ასეთი მაგალითები: მხატვარი **შეიძლება** უკვე **ხატავდეს** კიდეც... ან **შეიძლება** ყველა ნაწერი თვითონ განსვენებულ კვიხაშვილს **ეკუთვნოდეს**.

ვფიქრობთ, „შეიძლება“ ასევე „ზმნური“ იქნება „ხატვა“ ზმნის კავშირებით მეორეში ხმარების შემთხვევაშიც: მხატვარმა **შეიძლება დახატოს** კიდეც... ან **შეიძლება** ყველა ნაწერი თვითონ კვიხაშვილისა **აღმოჩნდეს**.

ასევე საყურადღებო და გასაზიარებელი ჩანს მომდევნო დებულებაც, რომ „უკანასკნელ წინადადებებში „შეიძლება“ მთავარი წინადადების ეკვივალენტურ ფორმად უფრო გაიზარება, ვიდრე მოდალურ ნაწილაკად (აღვილად აღდგება „შეიძლება“-ს შემდეგ

<sup>1</sup> ა. ბაბიძე, აწმყოს კავშირებითის ფუნქციებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეექვსე, თბ., 1989, გვ. 106.

„რომ“ კავშირი. უმნიშვნელოვანესი არგუმენტი! ო. მ.). კიდევ უფრო მეტი აქვს ზმნურობა „შესაძლოა“ ფორმას.

**შეიძლება**-ს „გაზმნურების“ არგუმენტის გაძლიერება იმით უფრო შეიძლება, რომ შესაძლებელია მისი ნამყო დროში ჩასმა: **შეიძლებოდა**.

საერთოდ, თვით ფაქტი **რომ** კავშირის გაუჩინარებისას ხანდობრ ამ ტიპის მაგალითებში (ე. ი. კავშირებითი კილოს ფორმების შემცველ კონსტრუქციებში) ნიშანდობლივი ფაქტია.

მწკრივების ასეთი მკაცრი განპირობებულობა:

აწმყო { II კავშ., ნამყო — II თურმ.  
აწმყოს კავშ.

და ამ ზმნების თანხვედრა პირსა და რიცხვში (ფაქტობრივ — **შე-თანხმება**) სრულიად გამოარჩევს ამ ე. წ. „ინფინიტიურ კონსტრუქციებს“ სხვა ჩვეულებრივი ქვეწყობილი წინადადებებისაგან.

საერთოდ, აღსანიშნავია, რომ, თუ ამგვარი მოდალური ნაწილაკი უშუალოდ არ უსწრებს ზმნას და გათიშულია რამდენიმე სიტყვით, ხშირად ხდება მისი (მოდალური ნაწილაკის. ო. მ.) თითქოსდა „გაზმნურება“ და ამგვარი ზმნური გადააზრების გამო ავტორები მათ მძიმით გამოყოფენ წინადადების სხვა წევრებისაგან, რაც მას, როგორც დამხმარე სიტყვას, დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვად, პირიან ზმნად აქცევს და იგი უკვე მიემართება გამოყოფილ წინადადებას, როგორც მთავარი — დამოკიდებულს:

*შესაძლოა, ჭიბერი და თალაგვა მცხეთაში ჰყავდეთ, დიდებში სადმე (ე. ვამს.).*

*შესაძლოა, კვისართან ომს მოელოდეს მეფე...<sup>1</sup>*

„თუ შეიძლება, შესაძლოა ფორმებს ჩართულად გავიზარებთ, — განაგრძობს სტატიის ავტორი, — მაშინ ისინი მძიმეებით უნდა გამოიყოს, თუ ნაწილაკად, მძიმის გარეშე უნდა იყოს, ხოლო თუ მას მთავარი წინადადების ძალით აღვჭურავთ, მაშინ მძიმე დამოკიდებული წინადადების მიჯნაზე იქნება“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ა. ბაბიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 107.

<sup>2</sup> აქვე, გვ. 107

ჩვენთვის მნიშვნელოვანი და არსებითია შემდეგი: თუ ზმნასთან იგულისხმება რომ კავშირი, ე. ი. თუ მისი აღდგენა შეიძლება, ვთვლით, რომ მძიმე საჭიროა ამ კავშირის გამოტოვების შემთხვევაშიც. თუ ზმნას მთლიანად აქვს დაკარგული ზმნურობა და ნაწილაკადაა ქვეული, რა თქმა უნდა, აქ სადავო არაფერია, აქ არაა ქვეწყობა, რომ კავშირი არ იგულისხმება და არც მძიმეა საჭირო მისი არყოფნის საკომპენსაციოდ.

მეტი სიტხადისათვის აღვნიშნავთ შემდეგს:

ნაწილაკად ქცევის მომენტიდან ზმნა კარგავს პირთა მიხედვით ცვლის უნარს, პირიან ზმნასთან მისი ხმარებისას მათ შორის აღარ იგულისხმება კავშირი და, შესაბამისად, აღარც მძიმე დაისმის:

უნდა წავიდე,  
უნდა წახვიდე,  
უნდა წავიდეს.

და, პირიქით, თუ ზმნას, რომელიც მეორე ზმნასთანაა დაკავშირებული, ეცვლება პირი, ხოლო მასა და მასთან დაკავშირებულ ზმნას შორის არის ქვეწყობითი დამოკიდებულება, გამოხატული მაქვემდებარებელი კავშირით, ხოლო კავშირის გამოტოვების შემთხვევაში — მძიმით, ეს იმას ნიშნავს, რომ გვაქვს რთული ქვეწყობილი წინადადება და, როგორც მოკლედ უნდა იყოს იგი, ერთი ზმნა მთავარი წინადადების ნაწილია, მეორე კი — დამოკიდებულისა:

მინდა, (რომ) წავიდე,  
გინდა, (რომ) წახვიდე,  
უნდა, (რომ) წავიდეს.

მაშასადამე, ორ ზმნას შორის მძიმის დასმის აუცილებელი პირობაა მათ შორის ქვეწყობის არსებობა, რაც მაქვემდებარებულ კავშირსაც გვაყარაუდებინებს და მძიმის დასმასაც მოითხოვს. ეს უკანასკნელი პირობა ძალაში რჩება კავშირის გამოტოვების შემთხვევაშიც, რადგან ძალაში რჩება ქვეწყობა.

## დასკვნა

ის ფაქტი, რომ თანამედროვე ქართულში კავშირგამოტოვებულ რთულ ქვეწყობილში არ სვამენ მძიმეს, შეიძლება მხოლოდ იმით აიხსნას, რომ ქვეცნობიერად ხდება აღნიშნული ტიპის წინადადების გაიგივება რუსულის ინფინიტივიან მარტივთან (იქ ხომ არაა მძიმე!), კავშირის გამოტოვების შემთხვევაში ქართულში — ისევე, როგორც რუსულში — არა გვაქვს კავშირი, მაშასადამე, არც მძიმეა საჭირო, ანგარიში არ ეწევა იმ ელემენტარულ გარემოებას, რომ რუსულში ერთი ზმნაა, მარტივი წინადადებაა, ქართულში კი მას ორზმნიანი, ე. ი. რთული ქვეწყობილი წინადადება შეესაბამება.

თვალში საცემია აშკარა პარადოქსი: რომ კავშირის ხმარებისას მძიმეს ვსვამთ, რადგან აქ ქვეწყობა აშკარაა, თვალსაჩინოა, ხოლო რომ კავშირის გამოტოვების შემთხვევაში, როცა აღარ ჩანს ქვეწყობის გარეგნული ნიშანი (კავშირი), აღარც მძიმეს სვამენ.

ერთსა და იმავე სინტაქსურ ოდენობასთან ერთ შემთხვევაში ქვეწყობა გამოხატულია ორმაგად — მაქვემდებარებელი კავშირითა და მძიმით, მეორე შემთხვევაში კი ქვეწყობის არც ერთი ფორმალური ნიშანი აღარაა და წინადადებაც გარეგნულად ანალოგიური შინაარსის რუსულ ინფინიტივიან მარტივს ემსგავსება. თქმული, რა თქმა უნდა, ეხება, უპირველეს ყოვლისა, იმ ტიპის ქვეწყობილებს, სადაც დამოკიდებულის ზმნა კავშირებითის ფორმაა. სხვა შემთხვევებში მძიმის დაუსმელობის პრაქტიკა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ მოვლენის განზოგადების შედეგად გვესახება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს სადავო, რომ რთული ქვეწყობილის კომპონენტ წინადადებათა მიჯნაზე, რა ზომისაც უნდა იყოს ეს წინადადებები, თუ მაქვემდებარებელი კავშირი გამოტოვებულია, მაგრამ ივლისხმება, **მძიმე აუცილებლად** უნდა დაისვას. მას აქ გამოტოვებული კავშირის ფუნქცია — ქვეწყობის დაფიქსირება — ეკისრება.

## გამოყენებული ლიტერატურა

ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თხზულებანი 12 ტომად, თბილისი, 1992 წ.

ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1953 წ.

არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლ, ტ. I, თბილისი, 1950 წ.

ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1965 წ.

ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1989 წ.

ალ. დლონტი, ქართული წინადადება, სავარჯიშო მასალა სინტაქსში, თბილისი, 1996 წ.

ნ. ბასილაია, უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადება, თბ., 1987 წ.

ა. პაპიძე, აწმყოს კავშირებითის ფუნქციებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი, „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, წიგნი მეექვსე, თბილისი, 1984 წ.

## ტექსტები:

გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1959 წ.

ი. ქავჭავაძე, თხზულებანი 20 ტომად, ტ. VI, თბილისი, 1997 წ.

ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბილისი, 1986 წ.

ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ათტომეული, IV, თბილისი, 1976 წ.

კ. გამსახურდია, თხზულებათა ათტომეული, IV, თბ., 1976 წ.

ქართული პროზა, წიგნი V, თბილისი, 1983.

ქართული საყმაწვილო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, ძველი მწერლობა, თბილისი, 1976 წ.

ძველი მწერლობა, 8, თბილისი, 1990.